დამტკიცებულია
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2024 წლის 14 მაისის № 66 ბრძანებით

მოდიფიცირებულია
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 20 თებერვალს № 33 ბრძანებით

RTC სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

საწყობის ოპერირება

პროგრამის ხელმძღვანელი: დავით მაზანაშვილი

საკონტაქტო ინფორმაცია: ელ ფოსტა: info.rtc2016@gmail.com

მობ. ტელ.: 032 2 20 54 24

თბილისი
2025 წ.

1. **პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** - საწყობის ოპერირება; Warehousing

2. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულ და ინგლისურ ენებზე)** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საწყობის ოპერირებაში; Secondary Vocational Qualification in Warehousing

3. **მიზანი** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია, სასაწყობო მეურნეოებებისთვის მოამზადოს კონკურენტუნარიანი ოპერირების სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწყობო ოპერაციების კვალიფიციურად შესრულებას როგორც ინდივიდუალურად, ისე გუნდურად, პროფესიული ეთიკის, შრომისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

4. **კვალიფიკაციის დონე**

   ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (NQF) - მეოთხე დონე

5. **კლასიფიკაციის აღწერა**

   ISCED კოდი - 0416 საბითუმო და საცალო გაყიდვები - შეისწავლის საქონლისა და მომსახურების ყიდვა გაყიდვის საკითხებს, მათ შორის აქციების მართვას, ფასების განსაზღვრას, დანაკარგების პრევენციას, გაყიდვების სისტემებსა და პროცედურებს. ის მოიცავს საცალო და საბითუმო ინდუსტრიის ფუნქციონირებასა და თანამედროვე ტენდენციებს. ის ასევე მოიცავს შენობებისა და საკუთრების გაყიდვას
   ISCO კოდი - 4321 საწყობებში საქონლის მიმღებები და გამცემები.
   ეკონომიკური საქმიანობის სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდი - 49.41.0 სატვირთო საგზაო ტრანსპორტი; 49.42.0 გადაზიდვის მომსახურება; 51.21.0 საჰაერო სატვირთო ტრანსპორტი.

6. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

   კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს: საბაჟო, კომერციულ, საავტომობილო, სუპერმარკეტისა და მაცივარ-საწყობებში, ასევე სავაჭრო კომპანიებში, რომლებიც ფლობენ საკუთარ საწყობებს, დისპეტჩერის, მარაგების და სათავსოს თანამშრომლის ან ტვირთის ამწონის თანამდებობაზე.

7. **დაშვების წინაპირობა**

   სრული ზოგადი განათლება;

   საბაზო განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

8. სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. აღწეროს საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და საწყობის ოპერაციები;
2. აღწეროს სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები;
3. მიიღოს საქონელი საწყობში;
4. განახორციელოს საქონლის ტრანსპორტირება საწყობში;
5. დაასაწყობოს საქონელი;
6. ააგროვოს საქონელი;
7. გასცეს საქონელი საწყობიდან;
8. აღრიცხოს საქონელი საწყობში.

9. სწავლის შედეგების დეტალური აღწერა

მოდული	პროფესიული უნარები	პროფესიული ცოდნა	*საკვანძო კომპეტენციები*							
			მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	უცხო ენაზე კომუნიკაცია	მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები ბუნებისმეტყველებასა და ტექნოლოგიებში	ციფრული კომპეტენცია	სწავლა დამოუკიდებლად	ინიციატივის გამოჩენა და მეწარმეობასთან დაკავშირებული კომპეტენციები	ზეპირსიტყვიერი	კულტურული გამოხატვა
საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და სასაწყობო ოპერაციები	• აღწერს საწარმოს საწყობის ორგანიზაციულ სტრუქტურას • აღწერს საკუთარ უფლება-მოვალეობებს • აღწერს საწყობის ოპერაციებს და მათი განხორციელების წესებს	• იცის საწარმოს საწყობის ორგანიზაციული სტრუქტურა • იცის საკუთარი უფლება-მოვალეობები • იცნობს საწყობის საოპერაციო პროცედურებს და საწყობის ოპერაციების განხორციელების წესებს	X			X	X			

სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები	• აღწერს საწყობის ოპერაციებს შრომის, ჯანმრთელობის უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სახიფათო ტვირთების შენახვის კანონმდებლობის ფარგლებში • აღწერს საწყობის ტექნიკისა და აღჭურვილობის მოვლა-შენახვის და უსაფრთხოების ნორმების დაცვის წესებს ეკო-მეგობრულობის გათვალისწინებით	• იცნობს შრომის, ჯანმრთელობის უსაფრთხოების, გარემოსდაცვითი და სახიფათო ტვირთების შენახვის კანონმდებლობის სასაწყობო ოპერაციების ფარგლებში • იცნობს საწყობის ტექნიკისა და აღჭურვილობის მოვლა-შენახვის და უსაფრთხოების ნორმების დაცვის წესებს ეკო-მეგობრულობის გათვალისწინებით	X			X	X			
საქონლის მიღება საწყობში	• იღებს საქონელს საწყობში არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით • ამოწმებს სატრანსპორტო დოკუმენტაციას საწყობში ტვირთის მიღებისას • ამოწმებს მიღებულ საქონელს რაოდენობრივად და ხარისხობრივად • აწარმოებს მიღებული საქონლის ანგარიშგებას	• იცის საქონლის საწყობში მიღებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოთხოვნები • იცის საქონლის საწყობში მიღების წესები და მეთოდები • იცის საქონლის შემოწმება რაოდენობრივად და ხარისხობრივად • იცის საქონლის მიღების ანგარიშგების დოკუმენტაციის წარმოება	X			X	X			
საწყობში საქონლის ტრანსპორტირება	• არჩევს საქონლის გადაზიდვისთვის საჭირო ტექნიკას /მტვირთავებს	• იცის საქონლის გადაზიდვისთვის საჭირო ტექნიკის/მტვირთავების შერჩევა	X			X	X			

	• ამზადებს საქონელს საწყობში შიდა ტრანსპორტირებისთვის • განასხვავებს საქონელს მათი სახეების მიხედვით • ახორციელებს ტვირთის ტრანსპორტირებას მოთხოვნის (განსაკუთრებით საშიში ტვირთების შემთხვევაში) მიხედვით • იყენებს საწყობის ტექნიკას და აღჭურვილობას ტვირთის სახეების შესაბამისად	• იცის ტვირთის დახარისხების და შიდა ტრანსპორტირების მეთოდები • იცნობს საქონლის ტიპებს და სახეობებს • იცნობს საქონლის შიდა ტრანსპორტირების წესებს საქონელთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად • იცის საწყობის ტექნიკისა და აღჭურვილობის გამოყენების წესები ტვირთის სახეების შესაბამისად								
საქონლის დასაწყობება	• ახარისხებს საქონელს დასაწყობებისთვის • განსაზღვრავს საქონლის წონას და დასაწყობებისთვის საჭირო მოცულობას • არჩევს ადგილს საქონლის დასაწყობებისთვის და ადგენს ტვირთების ერთეულებს • ასაწყობებს საქონელს შეკვეთების ტიპების და საქონლის შენახვის მეთოდების დაცვით • უზრუნველყოფს ტვირთის დაცულობას შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით	• იცის საქონლის დახარისხების და დასაწყობების მეთოდები • იცის საქონლის წონის განსაზღვრა და დასაწყობებისთვის საჭირო ადგილმდებარეობის შერჩევა საქონლის მოცულობის გათვალისწინებით • იცის საქონლის დასაწყობების სპეციფიკა და მეთოდები • იცის ტვირთის დაცულობის რეგულაციები	X			X	X			

საქონლის აგროვება	• ამოწმებს შეკვეთის დოკუმენტს • აგროვებს საქონელს საწყობში შემოსული შეკვეთების მიხედვით • იყენებს საქონლის აგროვებისთვის საჭირო ტექნიკას და აღჭურვილობას • ახორციელებს შესაბამის მარკირებებს საქონელზე • ამოწმებს აგროვებული საქონლის თანხვედრას შეკვეთებთან • აწარმოებს შესაბამის გატარებებს საწყობის მართვის ელექტრონულ პროგრამაში	• იცის შეკვეთების დოკუმენტის შემოწმება • იცის საქონლის აგროვების წესები და მეთოდები • იცის საქონლის აგროვებისთვის საჭირო ტექნიკის და აღჭურვილობის გამოყენება • იცის აგროვებული საქონლის შემოწმება შეკვეთების მიხედვით • იცის საქონლის მარკირება • იცის საქონლის აგროვების შემდგომი გატარებების წარმოება საწყობის მართვის ელექტრონულ პროგრამაში • იცის საქონელზე შესაბამისი მარკირებების დატანა	X			X	X			
საწყობიდან საქონლის გაცემა	• ამზადებს საქონელს გასაცემად ტრანსპორტირებისთვის მზადყოფნაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების მიხედვით • იყენებს ტვირთის შესაფუთ საშუალებებს/მასალებს გარემოსდაცვითი სტანდარტებისა და კანონმდებლობის შესაბამისად • განსაზღვრავს საქონლის წონას და საჭირო მოცულობას	• იცის საქონლის მომზადება გასაცემად სატრანსპორტო საშუალებების მოცულობებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით • იცის საჭირო ტექნიკის/მტვირთავების შერჩევა საქონლის გადაზიდვისთვის • იცის კანონმდებლობის მოთხოვნები ტვირთის შესაფუთი საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით • იცის ტვირთის სატრანსპორტო საშუალებებში ჩატვირთვის წესები და მეთოდები • იცის ტვირთის დაცვის რეგულაციები	X			X	X			

	სატრანსპორტო საშუალებაში • არჩევს საქონლის სატრანსპორტო საშუალებაში ჩასატვირთად საჭირო ტექნიკას/მტვირთავებს • ტვირთავს ტვირთს სატრანსპორტო საშუალებებში • უზრუნველყოფს ტვირთის დაცულობას შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით • აწარმოებს ტვირთის გაცემისთვის საჭირო დოკუმენტაციას	• იცის ტვირთის გაცემისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარმოება								
საწყობში საქონლის აღრიცხვა	• უზრუნველყოფს საქონლის ინვენტარიზაციას წესების მიხედვით • აღრიცხავს ვადაგასულ და დაზიანებულ საქონელს პროცედურებისა და წესების დაცვით • აღრიცხავს და მონიტორინგს უწევს ტემპერატურულ რეჟიმებს ცივ საწყობში • უზრუნველყოფს ანგარიშგებას საქონელთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად	• იცის საქონლის ინვენტარიზაციის წესები და ანგარიშგების მეთოდები • იცის ვადაგასული და დაზიანებული საქონლის აღრიცხვის წესები • იცის ცივ საწყობში ტემპერატურის აღრიცხვისა და მონიტორინგის წესები • იცნობს საქონლის მოთხოვნებთან დაკავშირებული ანგარიშგების პროცედურებს • იცის საწყობის მართვის ელექტრონულ პროგრამაში საქონლის ბრუნვასთან და ოპერაციებთან დაკავშირებულ გატარებების წარმოება • იცის საჭირო საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება	X			X	X			

	• აწარმოებს საქონლის ბრუნვასთან და ოპერაციებთან დაკავშირებულ გატარებებს საწყობის მართვის ელექტრონულ პროგრამაში • იყენებს საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს									

სასწავლო გარემოში სწავლისთვის	კრედიტი	სამუშაო გარემოში სწავლისთვის	დისტანციური სწავლების შესაძლებლობები
ზოგადი მოდულები			
ინფორმაციული წიგნიერება*	2		დისტანციური
მეწარმეობა	4		
უცხოური ენა	3		დისტანციური
პროფესიული მოდულები			
საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და სასაწყობო ოპერაციები	6		დისტანციური
სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები	6		დისტანციური
საქონლის მიღება საწყობში	12	✓	
საწყობში საქონლის ტრანსპორტირება	9	✓	
საქონლის დასაწყობება	9	✓	

საქონლის აგროვება	14	✓	
საწყობიდან საქონლის გაცემა	12	✓	
საწყობში საქონლის აღრიცხვა	13	✓	
სულ კრედიტები: 90			

10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ითვალისწინებს 3 ზოგად მოდულს, ჯამური 9 კრედიტის მოცულობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით.

კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 90 კრედიტი, სწავლების ხანგრძლივობაა 18 თვე.
მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24-ე მუხლით დამტკიცებული გარდამავალი დებულებით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 90 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 18 თვე[1]
- პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 120 კრედიტი;
- პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის- 23 თვე

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	**კრედ.**

[1] პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება სასწავლო კვირების მიხედვით. თითოეული სასწავლო ჯგუფის სწავლის დაწყების და დასრულების თარიღი დგინდება კალენდარული გრაფიკის მიხედვით, 2 კვირა საშობაო, 1 კვირა სააღდგომო, 4 კვირა საზაფხულო არდადეგების და არსებული კანონმდებლობით განსაზღვრული უქმეების გათვალისწინებით.

ქართული ენა A2	15
ქართული ენა B1	15
სულ:	**30**

ზოგადი მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
1.	ინფორმაციული წიგნიერება	2
2.	მეწარმეობა	4
3.	უცხოური ენა	3
სულ:		**9**

პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
4.	საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და სასაწყობო ოპერაციები	6
5.	სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები	6
6.	საქონლის მიღება საწყობში	12
7.	საწყობში საქონლის ტრანსპორტირება	9
8.	საქონლის დასაწყობება	9
9.	საქონლის აგროვება	14
10.	საწყობიდან საქონლის გაცემა	12
11.	საწყობში საქონლის აღრიცხვა	13
სულ:		**81**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულებით:

ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 2 ზოგად მოდულს 7 კრედიტის ოდენობით, 6 ინტეგრირებულ მოდულს 30 კრედიტის ოდენობით და 8 პროფესიულ მოდულს ჯამური 81 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მინიჭებისათვის პირმა უნდა დააგროვოს არანაკლებ 118 კრედიტი.

მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების 24-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე შერჩევის გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.

- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 118 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 20 თვე
- ინტეგრირებული პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 148 კრედიტი;
- ინტეგრირებული პროგრამის ხანგრძლივობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 25 თვე

ქართული ენის მოდულები	
მოდულის დასახელება	**კრედიტი**
01 ქართული ენა A2	**15**
02 ქართული ენა B1	**15**
სულ:	**30**

ინტეგრირებული მოდულები		
მოდულის დასახელება		**კრედიტი**
1.	კომუნიკაცია ქართულ ენაზე	8
2.	მათემატიკური წიგნიერება	7
3.	მეცნიერება და ტექნოლოგიები	6
4.	მოქალაქეობა	6

5.	სპორტი	2
6.	ესთეტიკა	1
სულ:		**30**

ზოგადი მოდულები		
მოდულის დასახელება		**კრედიტი**
1.	უცხოური ენა	3
2.	მეწარმეობა	4
სულ:		**7**

პროფესიული მოდულები		
№	**მოდულის დასახელება**	**კრედიტი**
3.	საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და სასაწყობო ოპერაციები	6
4.	სასაწყობო ოპერაციებთან დაკავშირებული კანონმდებლობა და უსაფრთხოების ნორმები	6
5.	საქონლის მიღება საწყობში	12
6.	საწყობში საქონლის ტრანსპორტირება	9
7.	საქონლის დასაწყობება	9
8.	საქონლის აგროვება	14
9.	საწყობიდან საქონლის გაცემა	12
10.	საწყობში საქონლის აღრიცხვა	13
სულ:		**81**

11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
ბ)არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.
განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.
პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას *(მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა)*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;
- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები.

12. კვალიფიკაციის მინიჭება

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები. პროფესიულმა სტუდენტმა კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მონაწილეობა უნდა მიიღოს შუალედურ შეფასებაში და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

13. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-12 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

14. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - საწყობის ოპერირება; Warehousing- მიხედვით.

15. პროფესიული პროგრამის განხორციელების ადგილი

პროგრამა განხორციელდება სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის; სს „საქართველოს რკინიგზის“ და სს“გუდვილის“ ბაზაზე.

პროგრამას თან ერთვის დანართები :

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი);
- ადაპტირებული მოდულები;
- სასწავლო გეგმები (ქართული ენის მოდულებით და მის გარეშე);
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი;

- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი;
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროგრამის ბიუჯეტი.

პროგრამის ხელმძღვანელი	დავით მაზანაშვილი
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი	შოთა მარგიშვილი
ა(ა)იპ სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯის დირექტორი	მანანა მოისწრაფიშვილი